გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 47

2022 წლის 11 მარტი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ა(ა)იპ გორელ ფოტოგრაფთა კლუბისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ

ა(ა)იპ გორელ ფოტოგრაფთა კლუბის განცხადების შესაბამისად დადგა საკითხი, ქალაქ გორში, გურამიშვილს ქ. N5-ში მდებარე ფართის (ს.კ. 66.45.17.070) უსასყიდლოდ სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით. 2016 წელს გორის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით დაიწყო პროექტი „art house-ხელოვნების სახლი", რომელიც ითვალისწინებდა საგანმანათლებლო - შემოქმედებთი სივრცის შექმნას. ხელოვნების სახლი არის ინოვაციური პროექტი, რომელიც რეგიონში ყველაზე დიდი სასწავლო-საგამოფენო სივრცის შექმნას ისახავს მიზნად. პროექტის მიზანია: რეგიონში ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა, ახალგაზრდა ხელოვანთა განვითარების ხელშეწყობა და ამავე მიზნით ღია, ინოვაციური და შემოქმედებითი გარემოს შექმნა, გამოფენების, ვორქშოპების, ფესტივალების ორგანიზება და ხელოვნების ინდუსტრიის შექმნა. გორის მუნიციპალიტეტის მერიის, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ჰოლანდიური არასამთავრობო ორგანიზაციის „out the area"-ს დახმარებით პროექტი „art house –ხელოვნების სახლი" გადაიზარდა პროექტში „ადგილობრივი ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერება მდგრადი ზრდისთვის 2018-2020". 2021 წლის 4 ივლისს მოეწყო ორგანიზაციის ფოტო გამოფენა და მოხდა სივრცის გახსნა, მოიპოვეს დაფინანსება კულტურის სამინისტროსგან რომლის ფარგლებშიც მოახდინეს გორის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ფოტოფიქსირება და წიგნად გამოცემა. ორგანიზაცია ასევე აქტიურადაა ჩართული ქალაქის კულტურული ცხოვრების მრავალფეროვნების გაუმჯობესებაში. აღნიშნული პროექტების ფარგლებში ა(ა)იპ გორელ ფოტოგრაფთა კლუბს დაინტერესებაში არსებული ფართი სარგებლობაში გადაცემული ჰქონდა პირობით, რაც ითვალისწინებდა ქონების დასუფთავებას და მის სანიტარულ მდგომარეობაში მოყვანას. ორგანიზაციამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობა შეასრულა. აღნიშნულის გათვალისწინებით და დასახული მიზნების განსახორციელებლად გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია ა(ა)იპ გორელ ფოტოგრაფთა კლუბს უსასყიდლოდ სარგებლობაში, უზუფრუქტის ფორმით გადასცეს, ქალაქ გორში, გურამიშვილის ქ. N5-ში მდებარე უძრავი ქონება საკადასტრო კოდი N66.45.17.070.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტის შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით გადასცეს ა(ა)იპ გორელ ფოტოგრაფთა კლუბს (ს/ნ 417887228) გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ გორში, გურამიშვილის ქ. N5-ში მდებარე ფართი, საკადასტრო კოდი N 66.45.17.070;

2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი გორი, ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**